საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა ჯეირანაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ პროცედურაში
მონაწილე კანდიდატის - **გოჩა ჯეირანაშვილის** შეფასების დასაბუთება

29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N¼ განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - **გოჩა ჯეირანაშვილის** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამ კრიტერიუმით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - გოჩა ჯეირანაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი, პიროვნული და

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	პროფესიული თვისებები, კერძოდ - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, შრომის-მოყვარეობა, პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება. გოჩა ჯეირანაშვილი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, შეუვალობით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. გოჩა ჯეირანაშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. კანდიდატს აგრეთვე არ უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და მის მიმართ დისციპლინური დევნაც არ ყოფილა დაწყებული. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები გოჩა ჯეირანაშვილის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად და მიაჩნიათ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ზემოთმითითებული ინფორმაციისა და გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გოჩა ჯეირანაშვილი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით	**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.**		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
სამართლის ნორმების ცოდნა	**20**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის ადამი-

			ანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე, აგრეთვე - გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორე, საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ გოჩა ჯეირანაშვილმა კარგად იცის როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა, ასევე სისხლის სამართლის მიმართულების მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის საკითხები. კერძოდ, საჯარო მოსმენისას მან ისაუბრა აღიარებით სარჩელზე სამოქალაქო პროცესში, მედიაციაზე და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებზე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, მათ შორის - ამ ინსტიტუტის სამოქალაქო საქმეებზე გავრცელების მიზანშეწონილებაზე. კანდიდატმა აგრეთვე ვრცლად ისაუბრა, სასამართლო პრაქტიკიდან კონკრეტულ მაგალითებზე მითითებით, და ერთმანეთისაგან გამიჯნა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა თაღლითობა და ქონების დაზიანება მოტყუებით, მძევლად ხელში ჩაგდება, იძულება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, განსაცდელში მიტოვება და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება. მანვე ვრცლად ისაუბრა დანაშაულის პროვოკაციაზე, აგენტ პროვოკატორზე და სისხლის სამართლის სხვა საკითხებზე. გასაუბრების გათვალისწინებით, კანდიდატი ასევე იცნობს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ გოჩა ჯეირანაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე სამოსამართლო გამოცდილების კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. გოჩა ჯეირანაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული და მოსამართლედ მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება. საჯარო მოსმენისას გოჩა ჯეირანაშვილი ერთნაირი დამაჯერებლობით ავითარებდა მსჯელობას როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის სფეროს მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხზე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატის, როგორც მოქმედი მოსამართლის გადაწყვეტილებები არის გამართული, ადვილად გასაგები ტექსტით შედგენილი და დასაბუთებული, მათ შორის - საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით.
წერის უნარი	19	20	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. გოჩა ჯეირანაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები (გადაწყვეტილებები) შედგენილია ადვილად აღქმადი და გასაგები ტექსტით, მსჯელობა ლოგიკური და დასაბუთებულია. მიუხედავად მცირე გრამატიკული შეცდომებისა, მიმაჩნია რომ კანდიდატს აქვს კარგი წერის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული

			აზრის მოსმენის შესაძლებლობა (უნარი) და საჯარო მოსმენისას მიღებული სხვა შთაბეჭდილება. ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ძირითადად მხედველობაში მივიღე საჯარო მოსმენისას კანდიდატის გამოსვლა და მიმაჩნია, რომ გოჩა ჯეირანაშვილს აქვს კარგი, გამართული მეტყველების უნარი. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე იყო საკმაოდ მოტივირებული, მეტყველებდა გამართულად, მშვიდად, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს და არგუმენტირებულ მსჯელობას. მნიშვნელოვანია და უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა უნარები. რეკომენდატორებსა და სხვა გამოკითხულ პირებს მიაჩნიათ, რომ გოჩა ჯეირანაშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით და გააჩნია ორგანიზატორული უნარები. შესაფასებელ პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 83,7%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 90%-ს. საანგარიშო პერიოდში მას დასრულებული აქვს საშუალოდ 0,5 საქმე. ამასთან, არ არსებობს ინფორმაცია გოჩა ჯეირანაშილის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვ. გოჩა ჯეირანაშვილი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის განხრით, ჩატარებული აქვს ორი ტრენინგი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. ასევე, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატია „ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური გაგება“
პროფესიული აქტივობა	4	5	აღნიშნული მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. გოჩა ჯეირანაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში - სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და გამოქვეყნებული აქვს სტატია „ბრალის ნორმატიული და ფსიქოლოგიური გაგება" (2012 წელი, თბილისი, ჟურნალი „ინტელექტუალი")

ქულათა ჯამი	95	100	

დასაბუთება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი გოჩა ჯეირანაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გოჩა ჯეირანაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. გოჩა ჯეირანაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ გოჩა ჯეირანაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები და მახასიათებლები.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით <u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ გოჩა ჯეირანაშვილის შესახებ გამოკითხული რეკომენდატორები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ უშუალო სამსახურებრივი თუ პირადი ხასია-

თის ურთიერთობა, მას აფასებენ როგორც კეთილსინდისიერ, კორექტულ და თავმდაბალ პიროვნებას. რესპოდენტები არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს - გოჩა ჯეირანაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ უფიქსირდება. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები.

რაც შეეხება <u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს.</u> გოჩა ჯეირანაშვილს გამოკითხული რეკომენდატორები აფასებენ როგორც სამართლიან, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ ზეგავლენის მიმართ არის მედეგი. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, გოჩა ჯეირანაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოების ნიშნები.

<u>*პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან*</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა ჯეირანაშვილი იცავს ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის კორექტული, გაწონასწორებული, შეუძლია ემოციების მართვა. საჯარო მოსმენაზე კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არის მოტივირებული, თავდაჭერილი და თავაზიანი. გარდა ამისა, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ კანდიდატი წარმოდგენილი არ ყოფილა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გოჩა ჯეირანაშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებლის მიხედვით,</u> კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გოჩა ჯეირანაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მისი მოსამართლედ გამწესების შესახებ, ასევე მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. გოჩა ჯეირანაშვილი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u> დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ გოჩა ჯეირანაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირე-

ბული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ამდენად, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე გოჩა ჯეირანაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ *<u>სამართლის ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა ჯეირანაშვილი, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, ძალიან კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად აგრეთვე გამოიკვეთა, რომ იგი კარგად იცნობს კონსტიტუციის ნორმებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 19 აპრილს გოჩა ჯეირანაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. კერძოდ - როგორია ზღვარი, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები თაღლითობასა და ქონების მოტყუებით დაზიანებას შორის, ასევე მძევლად ხელში ჩაგდებასა და იძულებას შორის. ამ კითხვებს კანდიდატმა ამომწურავად და არგუმენტირებულად უპასუხა. ჩემს მიერ დასმული იქნა შეკითხვა, თუ რა სხვაობაა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებას, განსაცდელში მიტოვებასა და დაუხმარებლობას შორის, აგრეთვე, - რა არის დანაშაულის პროვოკაცია, რაზეც კანდიდატის მიერ გაცემულ იქნა შესაბამისი პასუხები. სამოქალაქო სამართლის კუთხით დასმულ იქნა შეკითხვები აღიარებითი სარჩელის არსის, ვალდე-

ბულების წარმოშობის არასახელშეკრულებო საფუძვლების შესახებ, ცალკეული დელიქტებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სარჩელის განხილვის გამარტივებულ წესთან დაკავშირებით. არაერთი შეკითხვა იქნა დასმული მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებითაც.

დასმული იქნა ასევე შეკითხვები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლის კუთხით დასმულ იქნა შეკითხვა გამოხატვის თავისუფლების და მისი შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა როგორც სამართლებრივ, ასევე ზოგადი ხასიათის საკითხებზე დააფიქსირა საკმაოდ ამომწურავი და კვალიფიციური პასუხები და განავითარა საინტერესო სამართლებრივი მსჯელობა.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული მუშაობის გამოცდილება. ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით, კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, მისი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით. მიმაჩნია, რომ გოჩა ჯეირანაშვილს შეუძლია სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმა და მსჯელობის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემა. მნიშვნელოვანია, ითქვას ისიც, რომ შესწავლილ დოკუმენტებში არსებითი და თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>გოჩა ჯეირანაშვილის ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოირჩევა კარგი და გამართული მეტყველების უნარით. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი მკაფიოდ და ამომწურავად მსჯელობდა სხვადასხვა საკითხებზე.

გოჩა ჯეირანაშვილის <u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით</u>, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, მენეჯერული უნარ-ჩვევებით, გულმოდგინებით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. თუმცა, საანგარიშო პერიოდში მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 83,7%, მიმაჩნია, რომ არ არის მაღალი მაჩვენებელი. უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 90%-ს, რაც მაღალი მაჩვენებელია.

კანდიდატის <u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. გოჩა ჯეირანაშვილი აქტიურად

მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და წაკითხული აქვს სალექციო კურსი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის.

შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ **გოჩა ჯეირანაშვილი**, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით შეფასებისას გოჩა ჯეირანაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **95** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

29.04.2024